



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თ ე რ ჯ ო ლ ა
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 35

30/03/2018

იმედა რობაქიძის შვებულების შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N17 დადგენილების „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 39¹ -ე მუხლის მეორე ნაწილის, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2018 წლის 26 მარტის სხდომის N7 ოქმის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის იმედა რობაქიძის 2018 წლის 26 მარტის № 33/46 განცხადების საფუძველზე ვბრძანებ:

მუხლი 1. გაშვებულ იქნას ანაზღაურებად შვებულებაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე იმედა რობაქიძე 2018 წლის 2 აპრილიდან 2018 წლის 1 მაისის ჩათვლით 20 სამუშაო დღით. საშვებულებო ანაზღაურების დარიცხვა მოხდეს წინასწარ.

მუხლი 2. იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება კომისიის დავალებით შეასრულოს კომისიის წევრმა გიორგი ფანჩულიძემ. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პერიოდში გიორგი ფანჩულიძეს დაერიცხოს თანამდებობრივი სარგო საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით და მიიღოს კომისიის თავმჯდომარის 2018 წლის აპრილის თვის კუთვნილი ლიმიტები.

მუხლი 3. ბრძანება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატის უფროს სპეციალისტს საკადრო საკითხებში.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო